22/11/2020

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა იერუსალიმის პატრიარქს

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378, 2989540

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378, 2989540

მის უნეტარესობას, თეოფილე III, პატრიარქს წმინდისა ქალაქისა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინისა

თქვენო უნეტარესობავ,

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ აღსაყდრების საიუბილეო თარიღს. იერუსალიმის დედაეკლესია, როგორც წმინდა მიწის საყდარი, ყოველთვის განსაკუთრებულად ახლობელი იყო ჩვენი ხალხისათვის, ხოლო მისი მწყემსმთავარი, - გამორჩეულად საპატივცემულო.

თქვენ უკვე 15 წელია ეს პატივი გებოძათ და უფლის წყალობით დღემდე ღირსეულად ტვირთულობთ თქვენს მძიმე, მაგრამ მაცხოვნებელ ჯვარს.

შევთხოვთ უფალს, მოგმადლოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და შემდგომი წარმატებები თქვენს ფრიად საპასუხისმგებლო საქმიანობაში მართლმადიდებელი სამყაროს საკეთილდღეოდ.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

22.11.2020.

— patriarchate.ge